

შპს „შნო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოსატულია ლარში

	შენ.	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	44,798	139,712
სავაჭრო მოთხოვნები	4	37,455	71,328
მარაგები	5	392,210	317,809
საგადასახადო აქტივი		7,408	(6,099)
სხვა არამატერიალური აქტივები		1,907	1,907
ძირითადი საშუალებები	6	949,175	1,030,382
სულ აქტივები		1,432,953	1,555,039
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	116,514	111,097
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	50,000	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	86,377	147,155
სულ ვალდებულებები		252,891	258,252
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,600	2,600
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		468,447	553,642
გადაფასების რეზერვი		599,062	630,592
სხვა რეზერვები		109,953	109,953
სულ საკუთარი კაპიტალი		1,180,062	1,296,787
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,432,953	1,555,039

დირექტორი
გივი ნიორაძე



19 თებერვალი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

შპს „მნო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

თანხები გამოხატულია ლარში

	შენიშვნა	2018 წელი
ნეტო ამონაგები	10	704,088
საქონლის გაყიდვიდან		697,150
მომსახურების გაწევიდან		4,396
სხვა საოპერაციო შემოსავლები		2,542
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(348,455)
საერთომოგება		355,633
სხვა შემოსავალი		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		538
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)	11	(283,774)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)	6	(87,136)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები (-)		(5,342)
კომუნალური ხარჯები (-)		(28,713)
საპროცენტო შემოსავალი		1,683
საპროცენტო ხარჯი (-)		(16,558)
საგადასახადო ხარჯი (-)		(10,446)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	12	(42,827)
სულ საოპერაციო ხარჯები		(472,575)
საოპერაციო მოგება		(116,942)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(116,942)
მოგების გადასახადი (-)		-
მოგება/(ზარალი)		(116,942)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირესა წარმოების უძრავი ქონებისა და ფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(116,942)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,296,787
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივი სშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალისგაზრდა')		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		31,530
სხვა ცვლილებები გადაფასების რეზერვში		(31,530)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,180,062

დირექტორი
გივი ნიორაძე
19 თებერვალი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მნო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
თანხები გამოსატულია ლარში
არაპირდაპირი მეთოდი

	შენ.	2018 წელი
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(116,942)
ცვეთა და ამორტიზაცია (+)		87,136
კურსთაშორისი		(538)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)		(74,401)
დებიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(-/+)		33,873
საგადასახადო აქტივების ზრდა /კლება(-/+)		(13,507)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა /კლება(+/-)		5,417
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(78,962)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)		-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა (+/-)		(5,929)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენა (+/-)		-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,929)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების მიღება (+)		50,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (-)		(60,778)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(10,778)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე		755
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(94,914)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში		139,712
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს		44,798

დირექტორი
გივი ნიორაძე



19 თებერვალი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო

ახსა-განმარტებითი შენიშვნები შპს „შნო“

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს შნო“, საიდენტიფიკაციო ნომერი 211325671 დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ბუდაპეშტის ქუჩა N1

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავეჯის წარმოება. საზოგადოების დამფუძნებელი არის: გივი ნიორაძე, პ/ნ 01024004318 – 100% წილის მფლობელი; 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 2600 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. საადრიცხო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

	%
შენობა-ნაგებობები	5
მანქანა-დანადგარები	20
ოფისის აღჭურვილობა	20
სატრანსპორტო საშუალებები	20

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯს). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის ამკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ

ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	41	24,065
ნადდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	30,809	100,777
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	13,948	14,870
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	44,798	139,712

4. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	37,455	71,328
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	37,455	71,328

5. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ნედლეული და მასალები	182,868	180,752
ნახევარფაბრიკატები	78,737	24,215
დაუმთავრებელი წარმოება	69,319	60,134
მზა პროდუქცია	39,221	28,506
ექსპონატები	9,607	9,883
მცირეფასიანი მარაგები	8,822	10,986
სათადარიგო ნაწილები	2030	2030
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1606	1304
სულ მარაგები	392,210	317,809

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება						
ბალანსი 31 დეკ 17	58,710	760,589	641,362	58,889	30,935	1,550,485
დამატება	-	-	4,565	-	1,895	6,460
შემცირება	-	-	(337)	-	(922)	(1,259)
ბალანსი 31 დეკ 18	58,710	760,589	645,589	58,889	31,908	1,555,686
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 31 დეკ 17	0	38,029	437,982	23,442	20,650	520,103
ცვეთა	-	36,128	41,521	7,090	2,397	87,136
ჩამოწერა	-	-	-	-	(729)	(729)
ბალანსი 31 დეკ 18	0	74,157	479,503	30,531	22,319	606,511
ბალანსი 31 დეკ 17	58,710	722,560	203,380	35,448	10,285	1,030,382
ბალანსი 31 დეკ 18	58,710	686,432	166,086	28,358	9,589	949,175

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოწ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	33,600	31,450
მიღებული ავანსები	82,914	79,647
სულ სავაჭრო ვალდებულებები	116,514	111,097

8. სასესხო ვალდებულებები

86,377 არის გრძელვადიანი სესხის დარჩენილი ნაწილი 2019-2020 წლებისთვის. სულ სესხის თავდაპირველი მოცულობა შეადგენდა 340,000 ლარს (აწარმოე საქართველოს ფარგლებში). სესხის გაცემის თარიღი 24.04.2015 დაფარვის თარიღი 10.03.20. სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი იფარება ბანკის მიერ დადგენილ ვადებში.

50,000 ლარი წარმოადგენს საკრედიტო ხაზიდან (მოკლევადიანი ვალდებულება) ათვისებული თანხა 17/05/2018. 30,000 ლარი დაიფარა 03/08/2018, შემდეგ 30,000 ლარის ათვისება კვლავ მოხდა 26/10/2018. 2018 წლის ბოლოს ვალდებულება შეადგენდა 50,000 ლარს.

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2 600 ლარს. 2018 წელს კომპანიას კაპიტალში ცვლილება არ განუხორციელებია. სხვა რეზერვების თანხა შეადგენს 109,953 ლარს, გადაფასების რეზერვის ნამეტი თანხის გადატანა გაუნაწილებელ მოგება/ზარალის ანგარიშზე, რეალიზაციის კვალდაკვალ, მოცემულმა თანხამ 2018 წელს შეადგინა 31,530 ლარი. საკუთარი კაპიტალის საბოლოო ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,184,562 ლარს.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2018
შემოსავალი იურიდიული პირებისგან	298,018
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	239,153
რეალიზაციები გაყიდვებიდან	159,349
რეალიზაციები მომსახურებიდან	4,395
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,542
რეალიზაცია მასალის გაყიდვიდან	631
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	704,088

11. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	2018
მენეჯმენტის ანაზღაურება	64,206
დანარჩენი პერსონალის ანაზღაურება	219,568
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	283,774

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2018
მცირეფასიანი ნედლეულის ჩამოწერა	11,127
მომსახურების ხარჯი	8,189
დაზღვევა	5,413
საწვავის ხარჯი	5,029
კომუნიკაციის ხარჯი	3,563
რემონტის დანახარჯები	2,348
რეკლამის ხარჯები	2,453
ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	337
ფინანსური ხარჯი	861
საკანცელარიო ხარჯი	555
სხვა ხარჯი	2952
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	42,827

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად „ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	შემოსავალი	სულ
საერთო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	64,206	-	64,206
შპს „იბერონ“	-	5,699	5,699
სულ	64,206	5,699	69,905

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	-	-	-
შპს „იბერონ“	-	887	887
სულ	-	887	887

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 19 თებერვალს.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დაფარა გრძელვადიანი სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი 68,100 ლარი.

2020 წლისათვის დარჩენილი 18,277 ლარიდან დაფარულია 12,244 ლარი, ხოლო დარჩენილი 6,033 ლარი დაიფარება მიმდინარე წლის მარტის თვეში.

მოკლევადიანი სესხი: 50,000 ლარი ხელშეკრულების მიხედვით დაიფარა 2019 წლის მარტში. აპრილის თვიდან კვლავ დაიდო ხელშეკრულება ბანკთან და მოხდა 30000 ლარის ათვისება, შემდეგ ივნისში კიდევ მოხდა 30,000 ლარის ათვისება, ათვისებული 60,000 ლარიდან 40,000 ლარი დაბრუნდა აგვისტოს თვეში. დღევანდელი ვალდებულება შეადგენს 20,000 ლარს

ზემოხსენებულის გარდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.